საექსპერტო დასკვნა

შპს “Green BuilDers”

09.12.2021

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #16, საკონტაქტო ნომერი: 2-83-86-87 / 568-37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

საექსპერტო დასკვნა : № 21/173

დასკვნის მომზადების თარიღი : 09.12.2021

მისამართი : ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზ. #39ა

მესაკუთრე : შპს „ჟამური“

ფუნქციური ზონა : სამრეწველო ზონა 1

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 3

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : -

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 3

ზეხმელი ხე–მცენარეები : -

ხმობადი ხე–მცენარეები : 3

#	სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ბზა (Buxus)	4.3	1	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
2	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis	26.5	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
3	კვიპაროსი ჰორიზონტალური (Cupressus sempervirens f. horizontalis Mill.	22.8	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

25 სმ–მდე ხე–მცენარეების გადარგვა :

ხე–მცენარის გადარგვამდე, უნდა მოხდეს გადასარგავი ორმოს ამოღება, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ხე–მცენარის მოცულობით ზომებზე და ხნოვანებაზე. ამოღებული ორმოში უნდა მოხდეს მიწის ნოყიერი მასის, სერტიფიცირებული და ბიოლოგიური სასუქების შეტანა.

გადასარგავი ხე–მცენარის ნიადაგიდან ამოღება უნდა მოხდეს მისი ფესვთა სისტემის დაუზიანებლად, უმჯობესია მოხდეს მიწის კომი ფიქსირება სპეციალური დამცავი კონსტრუქციით (მაგ. ჯვალო).

დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს ხე–მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხე–მცენარის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად,ხე–მცენარის სიდიდიდან გამომდინარე.გადარგული ხე–მცენარის მიწა იტკეპნება, ხოლო დარგულიხე–მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი.

ხე–მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე–მცენარის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცენარის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის ზომაზე, ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
რეკომენდირებულია ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, ხოლო ყინვების პერიოდში უნდა მოხდეს ჯამების დახურვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის გაყინვა. ასევე საჭიროა სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება.ხე–მცენარისგადარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზედაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

გადარგულ ხე–მცენარეს დროთა განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს სხვლა–ფორმირება, ხმელი ტოტების მოშორების, ფესვთა სისტემის გაძლიერების და ვარჯის არასწორი განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.



დირექტორი **ცირა ჯაფოშვილი**

ექსპერტი **არსენა ბახია**


NOVOL




BODY
NOVOL
СИНТЕЗ

